



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ეკონომიკური ზრდის შეფასება ევროკავშირის
კონსტრუქციულ და აღმოსავლეთის
პარტნიორობის ქვეყნებში

ვლადიმერ კაპაპა

101

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ვლადიმერ პაპავა

**ეკონომიკური ზრდის შეფასება
ევროკავშირის პოსტკომუნისტურ და
აღმოსავლეთის პარტნიორობის ძველებში**

101

2018



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2018 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-8-0050-4

შესავალი

წინამდებარე კვლევის მიზანია იმის გარკვევა, თუ რაოდენობრივად რა განსხვავებაა ევროკავშირის არაკომუნიკური წარსულის მქონე ქვეყნებისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კომუნიკური წარსულის მქონე ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას შორის. ამგვარი კვლევის შედეგები სავსებით შესაძლებელია გახდეს თვისებრივი ანალიზის საფუძველი.

ევროკავშირის შემადგენლობაში არის 28 წევრი სახელმწიფო, რომელთაგანაც 12 არის კომუნიკური წარსული მქონე. კერძოდ, ესენია: ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი და ხორვატია. ჩვენ შეგნებულად თავს ვარიდებთ დამკვიდრებულ ტერმინოლოგიას, რომლის მიხედვითაც, ამ ქვეყნების გეოგრაფიულ ერთობლიობას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას უწოდებენ, და ქვეყნების ამ ჯგუფს ევროკავშირის პოსტკომუნიკურ ქვეყნებად მოვიხსენიებთ. ეს კი იმითაა განპირობებული, რომ ერთმანეთს შევადაროთ ის ეკონომიკური ზრდა, რომელიც ევროკავშირის არაპოსტკომუნიკური და პოსტკომუნიკური ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, მათი წარსული ეკონომიკური განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე. ევროკავშირის არაკომუნიკური და კომუნიკური წარსულის მქონე ქვეყნების ეკონომიკური ზრდის პარამეტრების შედარების არეალის გაფართოების მიზნით მოცემულ კვლევაში ასევე შეყვანილია აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყანა – აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა, რომლებიც ასევე პოსტკომუნიკური ქვეყნები არიან.

ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების მეტ-ნაკლებად ობიექტური შეფასებისთვის გამოვიყენებთ მსოფლიო ბანკის მონაცემებს გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დაწყებამდე და ამ უკანასკნელიდან მაქსიმალურად დაშორებული პერიოდისთვის. კერძოდ კი, ანალიზი მოიცავს 2006 და 2016 წლებს. ამით შევეცადეთ მაქსიმალურად გამოგვერიცხა ამ კრიზისის ზეგავლენა კვლევაში მოცემული ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ქვეყნის მთლიანი შიგა

პროდუქტის მაჩვენებლები აღებულია საერთაშორისო დოლარში, მისი მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გათვალისწინებით.

სანამ გადავალთ ხსენებული ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების უშუალო განხილვაზე, აუცილებელია იმის ხაზგასმამა, რომ *მონინავე ზრდა*¹, როგორც ასეთი, დამახასიათებელია მხოლოდ აშშ-ისა და აზიის ზოგიერთი სახელმწიფოსთვის². სამწუხაროდ, ევროკავშირის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას აქვს *დამწვევი ზრდის*³ პოტენციალი, რომელთაგან გამორჩეულია ლუქსემბურგი, შვედეთი, ფინეთი, გერმანია, დანია და ნიდერლანდები⁴.

ცალკე პრობლემას წარმოადგენენ ქვეყნები, რომელთათვისაც დამახასიათებელია *უკიდურესად ჩამორჩენილი ზრდა*, როცა, სამწუხაროდ, ეროვნული ინოვაციური სისტემა იმდენად ჩანასახოვან მდგომარეობაშია (ან საერთოდ არ არსებობს), რომ არათუ ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებაზე, არამედ იმიტაციური (ანუ უკვე შექმნილი) ტექნოლოგიების გადმოღება-გამოყენებაზეც კი თითქმის შეუძლებელია საუბარი.

მკვეთრი ზრდის ეფექტის პრობლემა

ეკონომიკური ზრდის გაზომვისათვის, როგორც ცნობილია, გამოიყენება მაჩვენებელი (r), რომელიც ასახავს რეალური მთლიანი შიგა პროდუქტის ცვლილების (ანუ მთლიანი შიგა პროდუქტის შესაღარი (Y^1) და ბაზური (Y^0) პერიოდების სხვაობის, ანუ $\Delta Y = Y^1 - Y^0$ შეფარდებას რეალური მთლიანი შიგა პროდუქტის ბაზური პერიოდის მაჩვენებელთან:

$$r = \frac{\Delta Y}{Y^0}$$

ამ მაჩვენებელს ეკონომისტები გამოიყენებენ იმისთვის, რომ გაზომონ მოცემული ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და ის, თუ როგორ იცვლება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი წლების განმავლობაში.

ამ მაჩვენებლის გამოყენებით კი ორი ან მეტი ქვეყნის შედარება შეუძლებელია. კერძოდ, ამ შემთხვევაში, კაპიტალის კლებადი უკუგების გამო, სხვა თანაბარ პირობებში, ეკონომიკური განვითარების შედარებით დაბალი დონის მქონე ქვეყნებში ეკო-

ნომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპების მიღწევას შესაძლებელი, ვიდრე ეკონომიკური განვითარების შედარებით მაღალი დონის მქონე ქვეყნებში. ამ მოვლენას „მკვეთრი ზრდის ეფექტი“ ჰქვია⁵.

თუკი განვიხილავთ ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს⁶, ადვილი შესამჩნევია, რომ ზოგადად პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით, გლობალური კრიზისის წინა 2006 წელს, ეკონომიკური ზრდა აშკარად უფრო მაღალი იყო, ვიდრე ევროკავშირის სხვა ქვეყნებში (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური განვითარების დონის მაჩვენებლები 2006 და 2016 წლებში

№	ქვეყნები	ეკონომიკური ზრდის ტემპები (პროცენტებში)		მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით (მიმდინარე საერთაშორისო დოლარში)	
		წლები		წლები	
		2006	2016	2006	2016
	ევროკავშირის ქვეყნები				
	არაპოსტკომუნისტური ქვეყნები				
1	ავსტრია	3,4	1,5	37 644,80	50 644,40
2	ბელგია	2,5	1,5	35 406,60	46 541,40
3	გაერთიანებული სამეფო	2,5	1,8	34 516,10	43 081,00
4	გერმანია	3,7	1,9	34 261,50	48 884,80
5	დანია	3,9	2	37 317,10	49 818,80
6	ესპანეთი	4,2	3,3	30 833,00	36 462,10
7	ირლანდია	5,5	5,1	44 230,80	71 404,70

8	იტალია	2	0,9	32 350,60	38 345,10
9	კვიპროსი	4,5	3	30 496,10	32 580,40
10	ლუქსემბურგი	5,2	3,1	77 996,20	103 556,60
11	მალტა	1,8	5,5	23 237,20	38 072,10
12	ნიდერლანდები	3,5	2,2	40 620,80	51 319,50
13	პორტუგალია	1,6	1,5	24 669,60	30 664,90
14	საბერძნეთი	5,7	-0,2	28 535,90	26 525,90
15	საფრანგეთი	2,4	1,2	32 543,40	41 466,30
16	ფინეთი	4,1	1,9	34 382,80	43 365,10
17	შვედეთი	4,7	3,2	37 439,80	49 507,80
	პოსტკომუნისტური ქვეყნები				
18	ბულგარეთი	6,8	3,9	11 377,90	19 509,00
19	ესტონეთი	10,3	2,1	19 269,10	29 620,00
20	ლატვია	11,9	2,1	15 761,60	25 932,50
21	ლიტვა	7,4	2,3	16 494,00	29 966,10
22	პოლონეთი	6,2	2,9	15 150,90	27 922,70
23	რუმინეთი	8,1	4,6	11 694,30	23 626,40
24	სლოვაკეთის რესპუბლიკა	8,5	3,3	18 875,50	30 706,10
25	სლოვენია	5,7	3,1	25 778,00	33 421,20
26	უნგრეთი	3,9	2,2	18 308,50	26 996,80
27	ჩეხეთის რესპუბლიკა	6,9	2,6	23 790,20	35 139,60
28	ხორვატია	4,8	3	16 934,70	23 731,80
	აღმოსავლეთ პარტ-ნიორების ქვეყნები				
29	აზერბაიჯანი	34,5	-3,1	9 830,20	17 282,20

30	ბელარუსი	10	-2,6	11 389,60	18 090,70
31	მოლდოვა	4,8	4,1	3 190,10	5 342,60
32	საქართველო	9,4	2,8	4 985,30	10 024,00
33	სომხეთი	13,2	0,2	5 607,60	8 849,90
34	უკრაინა	7,3	2,3	7 184,20	8 271,80
	ევროკავშირი	3,3	1,9	29 783,10	39 838,20

ცხრილი 1-ის საფუძველზე, მკვეთრი ზრდის ეფექტის გამო, პრაქტიკულად შეუძლებელია გავარკვიოთ, თუ რომელი ქვეყნის ეკონომიკას ახასიათებს ევროკავშირის ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებაში დამწვევი ზრდა, კუდში მიმდევარ ზრდა თუ ჩამორჩენილი ზრდა⁷. მაგალითად, ის, რომ 2006 წელს აზერბაიჯანში დაფიქსირდა ყველაზე მაღალი ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდა (34,5%), სულაც არ ნიშნავს, რომ აზერბაიჯანში აუცილებლად ადგილი ჰქონდა მონინავე ზრდას.

აშკარაა, რომ ცხრილში 1 მოცემული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონე განსხვავებულია თუნდაც იმით, რომ პოსტკომუნისტური ქვეყნების წარსული (ცალკეულ შემთხვევაში კი ანმყოც) ნეკროეკონომიკითაა⁸ დამძიმებული. შესაბამისად, უფრო დაბალ სასტატო პირობებში (რომლებშიც ეკონომიკური განვითარების დონით პოსტკომუნისტური ქვეყნები აღმოჩნდნენ) შედარებით მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევა მკვეთრი ზრდის ეფექტის გამო უფრო ადვილია, ვიდრე არაპოსტკომუნისტურ ქვეყნებში.

ეკონომიკური განვითარების დონე კი, როგორც წესი, ფასდება მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობით. აშკარაა, რომ ეს მაჩვენებელი ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში არსებითად განსხვავებულია (იხ. ცხრილი 1)⁹.

მაშასადამე, იმისთვის, რომ შევძლოთ ეკონომიკური განვითარების დონით სხვადასხვა სასტატო პირობების მქონე ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების შედარება, აუცილებელია მკვეთრი ზრდის ეფექტის გამორიცხვა, რაც შესაძლებელია, მაგალითად, იმ მეთოდის გამოყენებით, რომელიც პროპორციული

გადაფარვის ჰიპოთეზას ეფუძნება¹⁰. კერძოდ, ჰიპოთეზის დონეზე შევთანხმდეთ, რომ რამდენადაც ეკონომიკურად უფრო განვითარებულია ერთი ქვეყანა მეორესთან შედარებით, იმდენად უფრო ძნელია პირველი ქვეყნისთვის ეკონომიკური ზრდის იმავე დონის მიღწევა, რასაც მეორე ქვეყანამ მიაღწია.

თუ N -ით აღვნიშნავთ მოცემული ქვეყნის მოსახლეობას, მაშინ მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (y) იქნება

$$y = \frac{Y}{N}$$

მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის ჰიპოთეზის არსიდან გამომდინარე, i -ური ქვეყნისათვის j -ური ქვეყნის მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის კოეფიციენტი (მოკლედ, პროპორციული გადაფარვის კოეფიციენტი) α_{ij} გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ მეტია მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე i -ურ ქვეყანაში (y_i) j -ური ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელთან (y_j) შედარებით:

$$\alpha_{ij} = \frac{y_i}{y_j}$$

ერთი შეხედვით, i -ური ქვეყნის (ანუ, პირობითად, „ეტალონური“ ქვეყნის) სახით უმჯობესია იმ ქვეყნის აღება, რომელშიც მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე ყველაზე მაღალია (ჩვენს შემთხვევაში – ლუქსემბურგი) და რის გამოც შედარებით მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევაც უფრო რთულია. საყურადღებოა, რომ ასევე დასაშვებია „ეტალონური“ ქვეყნის სახით ნებისმიერი სხვა ქვეყნის შესაბამისი მაჩვენებლის აღება, რადგან საბოლოო შედეგების (ანუ ეკონომიკური ზრდის კორექტირებული მაჩვენებლების) თანაფარდობა ინვარიანტულობის თეორემის გამო არ იცვლება¹¹.

წინამდებარე კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ლოგიკურია, რომ „ეტალონური“ მაჩვენებლის სახით აღებული იყოს ევროკავშირის მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (\bar{y}), რადგან სწორედ ამ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი ევროკავშირის ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური განვითარების დონესთან როგორც მასში შემავალი, ისე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების

შედარება. შესაბამისად, წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის პროპორციული გადაფარვის კოეფიციენტი ($\bar{\alpha}_j$) იქნება

$$\bar{\alpha}_j = \frac{\bar{y}}{y_j}$$

ეს კოეფიციენტები მოცემულია ცხრილში 2. ამ ცხრილში წარმოდგენილი პარამეტრები გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ მეტია ან ნაკლებია მთელ ევროკავშირში წარმოებული მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე ცალკეული ქვეყნის შესაბამის მაჩვენებელზე.

ცხრილი 2

მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის კოეფიციენტები (ევროკავშირის მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებლის თანაფარდობა შესაბამისი ქვეყნების იმავე მაჩვენებლებთან)

№	ქვეყნები	წლები	
		2006	2016
	ევროკავშირის ქვეყნები		
	არაპოსტკომუნისტური ქვეყნები		
1	ავსტრია	0,791161	0,786626
2	ბელგია	0,841174	0,855973
3	გაერთიანებული სამეფო	0,862876	0,924728
4	გერმანია	0,869288	0,81494
5	დანია	0,798109	0,799662
6	ესპანეთი	0,965949	1,092592
7	ირლანდია	0,673357	0,557921
8	იტალია	0,920635	1,038938
9	კვიპროსი	0,97662	1,222766
10	ლუქსემბურგი	0,381853	0,3847

11	მალტა	1,281699	1,046388
12	ნიდერლანდები	0,733198	0,776278
13	პორტუგალია	1,207279	1,299147
14	საბერძნეთი	1,043706	1,50186
15	საფრანგეთი	0,915181	0,960737
16	ფინეთი	0,866221	0,91867
17	შვედეთი	0,795493	0,804685
	პოსტკომუნისტური ქვეყნები		
18	ბულგარეთი	2,617627	2,042042
19	ესტონეთი	1,54564	1,344976
20	ლატვია	1,889599	1,536227
21	ლიტვა	1,805693	1,329442
22	პოლონეთი	1,965764	1,426732
23	რუმინეთი	2,546805	1,686173
24	სლოვაკეთის რესპუბლიკა	1,577871	1,297403
25	სლოვენია	1,155369	1,192004
26	უნგრეთი	1,626736	1,475664
27	ჩეხეთის რესპუბლიკა	1,251906	1,133712
28	ხორვატია	1,758703	1,678684
	აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები		
30	აზერბაიჯანი	3,029755	2,305158
31	ბელარუსი	2,614938	2,202137
33	მოლდოვა	9,336102	7,456706
32	საქართველო	5,974184	3,974282

29	სომხეთი	5,311203	4,501542
34	უკრაინა	4,145639	4,816146
	ევროკავშირი	1	1

კორექტირებული ეკონომიკური ზრდა

იმის გათვალისწინებით, რომ j -ურ ქვეყანაში ფაქტობრივმა ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა r_j , ხოლო ევროკავშირის ეკონომიკური განვითარების დონის თანაფარდობა j -ური ქვეყანის ეკონომიკური განვითარების დონესთან არის $\bar{\alpha}_j$, მაშინ j -ური ქვეყანის კორექტირებული ეკონომიკური ზრდა (\bar{r}_j^*), მკვეთრი ზრდის ეფექტის გადაფარვის ჰიპოთეზის გათვალისწინებით, იქნება

$$\bar{r}_j^* = \frac{r_j}{\bar{\alpha}_j}$$

სხვა სიტყვებით, \bar{r}_j^* გვიჩვენებს j -ური ქვეყნის არა ფაქტობრივ ეკონომიკურ ზრდას, არამედ მის კორექტირებულ მაჩვენებელს, ევროკავშირისა და j -ური ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეთა შორის განსხვავების გათვალისწინებით. ეკონომიკური ზრდის კორექტირებული მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში 3.

ცხრილი 3

ეკონომიკური ზრდის კორექტირებული მაჩვენებლები

№	ქვეყნები	წლები	
		2006	2016
	ევროკავშირის ქვეყნები		
	არაპოსტკომუნისტური ქვეყნები		
1	ავსტრია	4,297481	1,906878
2	ბელგია	2,972038	1,752391

3	გაერთიანებული სამეფო	2,897289	1,946519
4	გერმანია	4,256358	2,331459
5	დანია	4,886553	2,501057
6	ესპანეთი	4,348056	3,020341
7	ირლანდია	8,168035	9,141075
8	იტალია	2,172413	0,866269
9	კვიპროსი	4,607729	2,453454
10	ლუქსემბურგი	13,6178	8,058232
11	მალტა	1,404386	5,256175
12	ნიდერლანდები	4,773607	2,834036
13	პორტუგალია	1,325294	1,154604
14	საბერძნეთი	5,461306	-0,13317
15	საფრანგეთი	2,622432	1,249041
16	ფინეთი	4,733204	2,068208
17	შვედეთი	5,908286	3,97671
	პოსტკომუნისტური ქვეყნები		
18	ბულგარეთი	2,597773	1,909853
19	ესტონეთი	6,663904	1,561366
20	ლატვია	6,297633	1,366986
21	ლიტვა	4,09815	1,730049
22	პოლონეთი	3,153989	2,032618
23	რუმინეთი	3,180456	2,728071
24	სლოვაკეთის რესპუბლიკა	5,387006	2,543542
25	სლოვენია	4,933489	2,600663

26	უნგრეთი	2,397438	1,490855
27	ჩეხეთის რესპუბლიკა	5,511595	2,293351
28	ხორვატია	2,729285	1,787114
	აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები		
29	აზერბაიჯანი	11,38706	-1,34481
30	ბელარუსი	3,824182	-1,18067
31	მოლდოვა	0,514133	0,549841
32	საქართველო	1,573437	0,70453
33	სომხეთი	2,485313	0,044429
34	უკრაინა	1,760887	0,47756
	ევროკავშირი	3,3	1,9

თუკი შევადარებთ ცხრილში 3 მოცემულ ეკონომიკური ზრდის კორექტირებულ მაჩვენებლებს ცხრილში 1 მოცემულ ფაქტობრივ მაჩვენებლებს, ვნახავთ არსებით განსხვავებას.

იმისთვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ ეკონომიკური ზრდის კორექტირებული მაჩვენებლების მიხედვით რაოდენობრივად რა თანაფარდობაა ევროკავშირის არაპოსტკომუნისტურ და პოსტკომუნისტურ ქვეყნებსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის, მიზანშეწონილია ამ მაჩვენებლების გრაფიკული წარმოდგენა. ამისათვის კი აუცილებელია ყველა მოცემული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის რანჟირება ევროკავშირის ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით. ამ მიზნით, ქვეყნების მიხედვით მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე გავყოთ ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელზე ($\bar{\beta}_j$)

$$\bar{\beta}_j = \frac{y_j}{\bar{y}}$$

შესაბამისი მაჩვენებლები ასახულია ცხრილში 4.

ქვეყნების მიხედვით მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის
მაჩვენებლების თანაფარდობა ევროკავშირის იმავე მაჩვენებელთან

№	ქვეყნები	ევროკავშირის მიხედვით	
		ნლები	
		2006	2016
	ევროკავშირის ქვეყნები		
	არაპოსტკომუნისტური ქვეყნები		
1	ავსტრია	1,263965	1,271252
2	ბელგია	1,188815	1,168261
3	გაერთიანებული სამეფო	1,158916	1,081399
4	გერმანია	1,150367	1,227084
5	დანია	1,252962	1,250528
6	ესპანეთი	1,035252	0,915255
7	ირლანდია	1,485097	1,792368
8	იტალია	1,086207	0,962521
9	კვიპროსი	1,02394	0,817818
10	ლუქსემბურგი	2,618807	2,59943
11	მალტა	0,780214	0,955668
12	ნიდერლანდები	1,363888	1,288198
13	პორტუგალია	0,828309	0,769736
14	საბერძნეთი	0,958124	0,665841
15	საფრანგეთი	1,09268	1,040868
16	ფინეთი	1,15444	1,088531

17	შვედეთი	1,257082	1,242722
	პოსტკომუნისტური ქვეყნები		
18	ბულგარეთი	0,382025	0,489706
19	ესტონეთი	0,646981	0,743507
20	ლატვია	0,529213	0,650946
21	ლიტვა	0,553804	0,752195
22	პოლონეთი	0,508708	0,700903
23	რუმინეთი	0,392649	0,593059
24	სლოვაკეთის რესპუბლიკა	0,633765	0,77077
25	სლოვენია	0,865524	0,838923
26	უნგრეთი	0,614728	0,677661
27	ჩეხეთის რესპუბლიკა	0,798782	0,882058
28	ხორვატია	0,568601	0,595705
	აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები		
29	აზერბაიჯანი	0,33006	0,43381
30	ბელარუსი	0,382418	0,454104
31	მოლდოვა	0,107111	0,134107
32	საქართველო	0,167387	0,251618
33	სომხეთი	0,188281	0,222146
34	უკრაინა	0,241217	0,207635
	ევროკავშირი	1	1


გრაფიკული გამოსახვა

ქვეყნების ეკონომიკური ზრდის კორექტირებული მაჩვენებლებისა და ეკონომიკური განვითარების დონის გრაფიკული წარმოდგენისათვის აბსცისათა ღერძზე ავიღოთ ქვეყნების მიხედვით მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებლების თანაფარდობა ევროკავშირის იმავე მაჩვენებელთან ($\bar{\beta}_j$), ხოლო ორდინატთა ღერძზე კი – ეკონომიკური ზრდის პროპორციული გადაფარვის ჰიპოთეზის საფუძველზე კორექტირებული მაჩვენებლები ($\bar{\alpha}_j$). ქვემოთ მოყვანილ ყოველ გრაფიკზე აბსცისათა ღერძზე 1 შეესატყვისება ევროკავშირის მთლიან შიგა პროდუქტს მოსახლეობის ერთ სულზე, რომლის მიხედვითაც არის რანჟირებული თითოეული ქვეყნის იგივე მაჩვენებელი, ხოლო ორდინატთა ღერძზე 2006 წლის გრაფიკებისთვის დაფიქსირებულია ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი – 3,3, ხოლო 2016 წლისთვის – 1,9 (იხ. ცხრილები 1 და 3).


გრაფიკებზე 1 და 2 წარმოდგენილია ევროკავშირის არაპოსტკომუნისტური ქვეყნების კორექტირებული ეკონომიკური ზრდისა და ევროკავშირის მიხედვით მთლიანი შიგა პროდუქტის მოსახლეობის ერთ სულზე რანჟირებული მაჩვენებლები.

გრაფიკი 1

ევროკავშირის არაპოსტკომუნისტური ქვეყნების კორექტირებული ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარების დონე ევროკავშირთან მიმართებაში 2006 წელს



ევროკავშირის არაპოსტკომუნისტური ქვეყნების კორექტირებული ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარების დონე ევროკავშირთან მიმართებაში 2016 წელს




ორივე გრაფიკში ასახულია მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის სახელწოდება, რადგან ეს შეუძლებელი იყო გრაფიკებზე მათი შესაბამისი წერტილების შემჭიდროებული განლაგების გამო.


მკვეთრი ზრდის ეფექტის გამორიცხვის შემდეგაც ორივე გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ ეკონომიკური ზრდის განსაკუთრებით მაღალი ტემპებით გამოირჩევა ლუქსემბურგი და ირლანდია. ეკონომიკური განვითარების დონით კი აშკარა პრობლემები აქვთ ესპანეთს, კვიპროსს, იტალიას, მალტას, საბერძნეთსა და საფრანგეთს, თუმცა 2016 წლისთვის, მკვეთრი ზრდის ეფექტის გამორიცხვის შემდეგაც, მათგან იმედისმომცემი ეკონომიკური ზრდა აქვს ესპანეთს, კვიპროსს და მალტას.

არანაკლებ საინტერესო სურათია მკვეთრი ზრდის ეფექტის გამორიცხვის შემდეგ ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებსა (გრაფიკები 3 და 4) და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (გრაფიკები 5 და 6).


ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების კორექტირებული ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარების დონე ევროკავშირთან მიმართებაში 2006 წელს




ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების კორექტირებული ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარების დონე ევროკავშირთან მიმართებაში 2016 წელს



აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კორექტირებული ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარების დონე ევროკავშირთან მიმართებაში 2006 წელს



აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კორექტირებული ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარების დონე ევროკავშირთან მიმართებაში 2016 წელს



გრაფიკებიდან 3 და 4 აშკარაა, რომ ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის ათწლიანი ინტერვალის მიხედვით 2006 და 2016 წლებში აშკარად გამოხატული შედარებით მაღალი ეკონომიკური ზრდით ხასიათდებოდნენ მხოლოდ სლოვაკეთის რესპუბლიკა, სლოვენია და ჩეხეთის რესპუბლიკა მაშინ, როცა სხვა ქვეყნებს ასეთი სტაბილურობა არ ახასიათებთ, ხოლო უნგრეთისა და ხორვატიის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები მათ მკვეთრად გამოხატულ ჩამორჩენილ ზრდაზე უფრო მეტყველებენ.

აშკარაა, რომ უფრო ზუსტი დიაგნოზის გაკეთებისათვის, თუ როგორი ტიპის ეკონომიკური ზრდაა დამახასიათებელი ზემოგანხილული ქვეყნებისათვის, მარტო მკვეთრი ზრდის ეფექტის გამორიცხვა არ არის საკმარისი – საჭიროა მაჩვენებელთა მთელი სისტემის გამოყენება¹². ამასთან, სასურველია მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროითი მწკრივის აღება, რომ უკეთ გამოჩნდეს ეკონომიკური ზრდის ტენდენცია. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ამ დროითი მწკრივიდან გამოირიცხოს გლობალური თუ რეგიონული ეკონომიკური და საფინანსო კრიზისების პერიოდები, რათა კრზისმა, თავის მხრივ, არ დაამახინჯოს ეკონომიკური ზრდის შესასწავლი ტიპის გამოვლინების სურათი.

ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო დამაფიქრებელია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის კორექტირებული მაჩვენებლები (იხ. გრაფიკები 5 და 6).

როგორც 2006, ისე 2016 წელსაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები ეკონომიკური განვითარების დონით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდნენ მთლიანად ევროკავშირისთვის დამახასიათებელ დონეს.

მკვეთრი ზრდის ეფექტის გამორიცხვის შემდეგაც, 2006 წელს, მკაფიოდ გამოკვეთილი ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა აზერბაიჯანი, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქვეყნისთვის დამწვევი ზრდაა დამახასიათებელი. თუკი გავიხსენებთ, რომ აზერბაიჯანის ეკონომიკისთვის აშკარა მახასიათებელია ნავთობისა და გაზის მოპოვება და ექსპორტი (რითაც გამორჩეული იყო თუნდაც 2006 წელი¹³), უდავოა, რომ ამ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტიპი არის კუდში მიმდევარი ზრდა. მსოფლიო ბაზრებზე ნავთობზე ფასების კლება კი საკმაოდ მტკივნეულად აისახა აზერბაიჯანის ეკონომიკაზე, რაც 2016 წელს დაფიქსირებული ეკონომიკური ვარდნის ერთ-ერთი ყურადსაღები მიზეზია.

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის საერთოდ არ არის დამახასიათებელი დამწვევი ზრდის ტიპი და, სამწუხაროდ, მათი ეკონომიკური ზრდის ტიპი ან ჩამორჩენილი ზრდაა (შესაძლოა, უკიდურესად ჩამორჩენილი ზრდაც), ან კუდში მიმდევარ ზრდა. ის, თუ კონკრეტულად რომელია, ამისთვის საჭიროა თითოეული ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლების ცალკე შესწავლა.

დასკვნა

ევროკავშირის არაკომუნისტური წარსულის მქონე ქვეყნებისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური წარსულის მქონე ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას შორის განსხვავების რაოდენობრივი შეფასებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მკვეთრი ზრდის ეფექტის გამორიცხვას. ამ მიზნით შესაძლებელია იმ მეთოდის გამოყენება, რომელიც ეფუძნება პროპორციული გადაფარვის ჰიპოთეზას.

მკვეთრი ზრდის ეფექტის გამორიცხვის შედეგად კიდევ უფრო ნათელი გახდა, რომ ეკონომიკური ზრდის შედარებით მაღალი მაჩვენებელი არ არის დამახასიათებელი ევროკავშირის ყველა იმ ქვეყნისთვის, რომლებსაც არ ჰქონით კომუნისტური წარსული. ამ ქვეყნებს შორისაა იტალია, საბერძნეთი, საფრგანეთი და პორტუგალია.

მკვეთრი ზრდის ეფექტის გამორიცხვით ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის ყველაზე იმედის მომცემი ეკონომიკური ზრდა აქვთ სლოვაკეთის რესპუბლიკას, სლოვენიას და ჩეხეთის რესპუბლიკას.

სამწუხაროდ, არადადამაკმაყოფილებელია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტიპი. ამჟამად, რომ ამ ქვეყნებისთვის დამახასიათებელია ეკონომიკური ზრდის ისეთი ტიპები, როგორიცაა ჩამორჩენილი ზრდა (უფრო ზუსტად კი, უკიდურესად ჩამორჩენილი ზრდა) და კუდში მიმდევარი ზრდა.

თითოეული ქვეყნის მიხედვით ეკონომიკური ზრდის ტიპის მეტი სიზუსტით შესწავლის მიზნით, მას შემდეგ, რაც მოხდება მკვეთრი ზრდის ეფექტის გამორიცხვა, საჭიროა მაჩვენებელთა სპეციალური სისტემის გამოყენება.

შენიშვნები

1. Hudson E. A. *Economic Growth: How it Works and how it Transformed the World*. Wilmington: Vernon Press, 2015, p. 34.
2. Åslund A., Djankov S. *Europe's Growth Challenge*. New York: Oxford University Press, 2017, pp. 133-134.
3. Abramovitz M. "Catching Up, Forging Ahead, and Falling Behind." *The Journal of Economic History*, 1986, Vol. 46, No. 2, <www.sites-final.uclouvain.be/econ/DW/DOCTORALWS2004/bruno/adoption/abramovitz.pdf>; Gottinger H.-W. "Economic Growth, Catching Up, Falling Behind and Getting Ahead." *World Review of Entrepreneurship, Management and Sustainable Development*, 2005, Vol. 1, No. 2.
4. Åslund A., Djankov S. *Europe's Growth Challenge*. New York: Oxford University Press, 2017, p. 135.
5. მენქიუ გ., ეკონომიკის პრინციპები, თბილისი: დიოგენე, 2007, გვ. 532-533; Mankiw N. G. *Principles of Economics*. Mason: Thomson South-Western, 2004, pp. 546-547.
6. WB, "GDP Growth (Annual %)." *World Bank*, 2018, <www.data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG>.
7. Abramovitz M. "Catching Up, Forging Ahead, and Falling Behind;" Gottinger H.-W. "Economic Growth, Catching Up, Falling Behind and Getting Ahead." *World Review of Entrepreneurship, Management and Sustainable Development*; Hudson E. A. *Economic Growth: How it Works and how it Transformed the World*, pp. 34-35.
8. Papava V. "Necroeconomics – the Theory of Post-Communist Transformation of an Economy." *International Journal of Social Economics*, 2002, Vol. 29, No. 9-10.
9. WB, "GDP Per Capita, PPP (current international \$)." *World Bank*, 2018, <www.data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.PP.CD?end=2015&start=1990>.
10. Papava V. "Economic Growth in the Central Caucaso-Asian Countries Adjusted for the Catch-Up Effect." *Central Asia and the Caucasus*, 2012, Vo. 13, No. 4; Papava V. "The Catch-Up Effect and Regional Comparisons of Growth Indicators (With the Eastern Partnership Countries as an Example)." *Problems of Economic Transition*, 2014, Vol. 57, No. 3.
11. Papava V. "The Problem of the Catch-Up Effect and Post-Crises Economic Growth in the World Leading Countries." *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 2016, Vol. 10, No. 4, p. 103.
12. UNIDO. *Capability Building for Catching-Up. Historical, Empirical and Policy Dimensions*. Vienna: United Nations Industrial Development Organization, 2005.
13. Papava V., Bagirov S., et al. *Energy Trade and Cooperation Between the EU and CIS Countries*. CASE Network Reports, No. 83. Warsaw: CASE – Center for Social and Economic Research, 2009, p. 50, <www.case-research.eu/files/?id_plik=3050>.